პროლეტარებო ყველა ქვეყნისაო, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
პარასკევი
7 მარტი
№ 56 (17699)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

პასუხად პარტიის ზრუნვას

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

ჩვენ, საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივი და სოციალისტური შეჯიბრების გამმარჯვებელთა კრების მონაწილენი მოხარული ვართ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მის პოლიტბიუროსა და პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეო, ეცნობოთ, რომ პარტიისა და მთავრობის მამობრივი ზრუნვის პასუხად საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც სახალხო [illegible] XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარ[illegible] საათვის ბრძოლაში, წარმატებით დაამთავრეს მეათე ხუთწლედის მეოთხე წელი.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გადიდების, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების, ნედლეულის, მატერიალური რესურსების დაზოგვის, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დაჩქარებული დანერგვის გზით ქვეყანაში წამყვანი ადგილი დაიკავეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპისა და წარმოების მოცულობის მიხედვით.

მინდვრების, ფერმებისა და პლანტაციების მშრომელებმა ურთულესი ამინდის პირობებში გაზარდეს საკვები ბაზა და პირუტყვის სულადობა, მოიწიეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ციტრუსების, კარტოფილის, ბოსტნეულის რეკორდული მოსავალი.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მშენებლობის, განათლების დაცვის დარგში, მოსახლეობის მომსახურების სფეროში.

ამ მიღწევებს მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ — 1979 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკას ზედიზედ მეშვიდედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა სამშობლოს მაღალი ჯილდო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების ახალ მძლავრ სტიმულად აღიქვეს.

მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი რესპუბლიკამ დაიწყო უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოიწვია მზადებამ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის დღესასწაულობისათვის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, იდეოლოგიური მუშაობის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, შრომის დისციპლინის განმტკიცების დარგში პარტიის დადგენილებებით, ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ მკაფიო სიტყვაში მოცემული დებულებებითა და დასკვნებით, საქართველოს რესპუბლიკის მშრომელები აღსავსენი არიან სურვილით ვადამდე შეასრულონ მეათე ხუთწლედის დავალებანი და მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი.

1980 წელს გადაწყვეტილი გვაქვს მივაღწიოთ ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო წარმოების მატების ყველაზე სწრაფ ტემპს — 9,4 პროცენტს, გამოვუშვათ 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია, რაც საშუალებას მოგვცემს მრეწველობის პროდუქციის მოცულობა ხუთწლედის შედეგების მიხედვით გავზარდოთ 41 პროცენტით, როგორც გათვალისწინებულია კიდეც დავალებით. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის მოცულობანი მიაღწევს: მარცვლეულისა — 182 ათას ტონას, ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 455 ათას ტონას, ყურძნისა — 655 ათას ტონას, ციტრუსისა — 170 ათას ტონას, ხორცისა — 145 ათას ტონას.

ამ ვალდებულებათა რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს წარმატებით შევასრულოთ მეათე ხუთწლედი და კარგი მარაგნამეტი შევქმნათ მეთერთმეტე ხუთწლედისათვის.

დასახული გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების საიმედო გარანტიაა ჩვენის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ნამდვილად ძმური ურთიერთდახმარება, სსრ კავშირის ხალხთა ჭეშმარიტად ურღვევი ლენინური მეგობრობა.

საქართველოს მშრომელები მთლიანად და სავსებით იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, გულითად მადლობას მოახსენებენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროსა და პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეო, იმ დაუცხრომელი მუშაობისათვის, რომელსაც ეწევით სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი ცხოვრების, მათი შემოქმედებითი შრომის, კეთილდღეობისა და სულიერი ზრდის უზრუნველყოფისათვის.

სამშობლოს მაღალ ჯილდოს რომ ვიბარებთ, ჩვენ საქართველოს სსრ კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით აღვუთქვამთ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ რესპუბლიკა, რომელიც საყოველთაო შრომითს ვახტზე დადგა, 1980 წელს გადააქცევს დამკვრელური შრომის, ლენინურად მუშაობის წლად და ახალ წარმატებებს მიაღწევს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ამრავლებს თავის წვლილს კომუნისტური მშენებლობის აქტუალური ამოცანების განხორციელებაში, საბჭოთა საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური, სოციალური, ინტერნაციონალური შეკავშირების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

გაუმარჯოს ლენინურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!

დიდება საბჭოთა ხალხს — აღმშენებელ ხალხს, შემოქმედ ხალხს!

საქართველოს სსრ კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
ჟ. თბილისი. 1980 წლის 6 მარტი.

ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის ხელმძღვანელებს ამხანაგ რობერტ მუგაბეს, ამხანაგ ჯოშუა ნკომოს

გულითადად გილოცავთ პატრიოტული ძალების დიდ გამარჯვებას ქვეყანაში გამართული საყოველთაო არჩევნებში. ზიმბაბვეს პატრიოტების დამაჯერებელი გამარჯვება იმ მრავალი წლის გმირული ბრძოლის კანონზომიერი შედეგია, რომელსაც ზიმბაბვეს ხალხი ეწეოდა პატრიოტული ფრონტის ხელმძღვანელობით რასისტული წესების ლიკვიდაციისათვის, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ გამარჯვებამ ჩაფუშა რასისტებისა და იმპერიალისტების ცდები ხალხისათვის თავს მოეხვიათ მარიონეტული რეჟიმი, ახალი ფორეული გადაამალა ზიმბაბვეს ისტორიაში. შეიქმნა საჭირო წანამძღვრები ნამდვილად დამოუკიდებელი, სუვერენული ზიმბაბვეს აშენებისათვის.

ზიმბაბვეს ხალხის მომავალი, ახალი ცხოვრების მშენებლობის გზით მისი შემდგომი წარმატებული წინსვლა ბევრად იქნება დამოკიდებული პატრიოტული ძალების ერთიანობასა და შეკავშირებაზე, მათ უნარზე საკადრისი პასუხი გასცენ იმპერიალისტთა და რასისტთა ხრიკებს.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ და თქვენი სახით ზიმბაბვეს მთელ ხალხს ახალ დიდ წარმატებებს. შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ რომ ისევე როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ძნელ წლებში, საბჭოთა კავშირი ზიმბაბვეს ხალხის მართალი საქმის მხარეზე იყო და იქნება.

ლ. ბრეჟნევი.

მაღალი ჯილდო აგვირგვინებს დამკვრელურ შრომას

ველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების, სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების პასუხისმგებელი მუშაკები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის მეომრები.

კრების მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. ბ. ი. გოსტევი.

მასთან ერთად კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულაშვილი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, კ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ჟ. კ. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ე. ოდინცოვი.

ტრადიციისამებრ აქტივის კრების მონაწილეთა შორის არიან საქართველოს სს რესპუბლიკის დაჯილდოების გამო გამართულ ზეიმზე ჩამოსული მოძმე რესპუბლიკათა დელეგაციები — აზერბაიჯანის სსრ დელეგაცია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ყ. ა. ხალილოვის მეთაურობით და სომხეთის სსრ დელეგაცია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფ. ტ. სარქისიანის მეთაურობით.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ, რომელიც კრების მონაწილეთა, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მიესალმა ძვირფას სტუმრებს.

უდიდესი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალში აირჩიეს კრების საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

მტკიცდება დღის წესრიგი, რომელშიც ერთი საკითხია: „1979 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და 1980 წლისა და მთლიანად ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები“.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგეს ბ. ი. გოსტევს. მან მხურვალედ მიულოცა რესპუბლიკის მშრომელებს დამსახურებული საპატიო ჯილდო, გულითადად მიესალმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით და ოსურვა ახალი წარმატებანი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

ამხ. ბ. ი. გოსტევის გამოსვლის დროს გაიმართა საქართველოს სს რესპუბლიკის წარმომადგენლებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა, რომელიც მას 1979 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიენიჭა.

კრებას ესწრებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართ-

(გაგრძელება მე-2 გვ.).

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით

კავკავ დიდი დღესასწაულია ქართულ მიწა-წყალზე. 1979 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებში გამარჯვებისათვის საბჭოთა საქართველოს ზედიზედ მეშვიდედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ეს საქართველოს მშრომელთა დიდი გამარჯვება, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის მაღალი შეფასებაა.

რესპუბლიკამ პირველი ადგილი დაიკავა ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით. უამინდობის მიუხედავად მოწეულია ჩაის, ყურძნის, ციტრუსების რეკორდული მოსავალი. ძირითადად შესრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამა, საექსპლატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები და პროფტექნიკური სასწავლებლები, ჭიყორნაში ჩადგა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, რუსთავის ქიმიური ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, სხვა საწარმოების ახალი აგრეგატები და ობიექტები, აიგო ახალი ელექტროსადგურები, შენდება ახალი საწარმოო სიმძლავრეები თბილისსა და რუსთავში, ბათუმსა და ზესტაფონში, მადნეულსა და ჭიათურაში...

ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

რესპუბლიკაში 1979 წელს მიღწეულია მშრომელთა შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის არნახული გაქანება. ეს შთაგონებული, ჭეშმარიტად ტიტანური შრომა მკაფიოდ მოწმობს, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ერთგულად ემსახურებიან კომუნისტური პარტიის საქმეს, მხურვალედ იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბრძნულ პოლიტიკას.

სადღესასწაულოდ არის მორთული საქართველოს დედაქალაქი — ძველი და მარად ახალგაზრდა თბილისი. მისი ქუჩები, მოედნები, სანაპიროები შემკულია წითელი დროშებითა და ტრანსპარანტებით, მწვანე ყვავილწნულებით, ცოცხალი ყვავილებით. დღეს კარგი გუნებაგაწყობილებით გამოვიდნენ ქუჩებში თბილისელები, მათი სტუმრები — რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან დედაქალაქში ჩამოსული სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი. ყველას გული ძგერს სიამაყის გრძნობით წარმატებებისათვის, რომლებსაც მიაღწიეს ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ რომ მიუძღვის ჩვენს ქვეყანას. ფერადოვან პანოებზე წარწერილია ლოზუნგები, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების აზრებსა და მისწრაფებებს: „მაღალი ჯილდო გვავალებს“, „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს შეავასრულებთ!“, „მეათე ხუთწლედი ვადამდე!“.

საზეიმოდ მოურთავთ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი. სცენის სიღრმეში დგას მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური მეგობარი ვ. ი. ლენინის ქანდაკება. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშას ამშვენებს ორი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები, რომლებითაც დაჯილდოვდა რესპუბლიკა. ყოველ ხუთ წუთში იცვლებიან მომმრები დროშის საპატიო ყარაულში.

აქ ექვს მარტს გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები. კრება მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას, რომელიც მას 1979 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიენიჭა.

კრებას ესწრებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართ-

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 6 ᲛᲐᲠᲢᲘ. საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა (ზემოთ); სხდომათა დარბაზში (ქვემოთ).

ს. კილაძის ფოტო.

საბჭოთა ქალებს

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲥᲐᲚᲔᲑᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲝ!

ჩვენი სამშობლოს სახელოვანი შვილებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — ყველა კონტინენტის მშრომელ ქალთა ერთიანობისა და სოლიდარობის დღეს!

ამ ნათელ გაზაფხულის დღესასწაულს აღვნიშნავთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის წინ. ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლო მტკიცედ დგას ლენინურ კურსს. ლენინისაგან სწავლობენ საბჭოთა ადამიანები ცხოვრებას, მუშაობას, ბრძოლასა და გამარჯვებას. საბჭოთა ხალხი უსაზღვრო ერთგულებით ემსახურება ლენინის, კომუნისტური პარტიის საქმეს, სავსებით იწონებს და ერთსულოვნად უჭერს მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ საქმიანობას.

პარტიამ ხორცი შეასხა ლენინის ანდერძს — საბჭოთა ქალები საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან, ნაყოფიერად შრომობენ ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, მინდვრებსა და ფერმებში, სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაში, ვაჭრობასა და მოსახლეობის სფეროში. მნიშვნელოვანია მათი წვლილი მეცნიერების განვითარებასა და კულტურის აყვავებაში.

საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმისათვის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და შეუმაობის ხარისხის ამაღლებისათვის, ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის (საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. ათასობით შესანიშნავმა შრომელმა ქალმა უკვე შეასრულა პირადი ხუთწლიანი დავალებანი.

გულითადი მადლობა თქვენ, ძვირფასო ქალებო, შრომითი მამაცობისათვის, ენთუზიაზმისათვის, შემოქმედებისათვის!

უდიდესი მადლიერების გრძნობით მივმართავთ დედას. იგი სიცოცხლეს აძლევს ბავშვს, დგას მის აკვანთან, უზიარებს თავისი გულის სითბოსა და სინაზეს, ისწრაფვის აღზარდოს ჩვენი სამშობლოს ღირსეული მოკალაქე. კომუნიზმის მომავალ მშენებელთა აღზრდა მაღალი პოლიტიკური ფასეულობა და დიდი პასუხისმგებლობაა. და ამ კეთილშობილურ საქმეში ყოველ დედას, ყოველ ოჯახს სულ უფრო დიდ დახმარებას უწევენ პარტია და სახელმწიფო. ყოველწლიურად შენდება მილიონობით ბინა, ფართოვდება სბავშვო ბაღების და ბაღების ქსელი, იხსნება ახალი სკოლები და კლუბები, ჯანმრთელობის ცენტრები და სტადიონები.

საბჭოთა ქალების თავდადებასა და ნიჭს ბევრად უნდა უმადლოდეს ჩვენი სამშობლო თავის ისტორიულ მიღწევებს. მათი მზრუნველი ხელი, გულისხმიერება და კეთილშობილება ამშვენებს ჩვენს ცხოვრებას, აკეცდრებს სიკეთისა და სილამაზეს.

დაუვიწყარია საბჭოთა ქალების გმირობა დიდი სამამულო ომის წლებში. მამებთან, ძმებთან, ქმრებთან ერთად ისინი გმირულად იბრძოდნენ ფრონტებზე და პარტიზანულ რაზმებში, მკლავმოუღლელად შრომობდნენ ზურგში. ომის განსაცდელის მკაცრ წლებში ყველაზე სრულად გამოვლინდა ლენინის პარტიის, სოციალისტური წყობილების ბერი აღზრდილი ქალის სიდიადე.

ცოცხალ რეალობად იქცა ქალთა ფართო მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში. გასულილ არჩევნებში შილიონობა ოცდაათი ათასზე მეტი სახელოვანი ქალი არჩეულია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად. საბჭოთა ქალები აქტიურად მუშაობენ პარტიულ, სახელმწიფო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. ეს მკაფიოდ, დამაჯერებლად ადასტურებს ჩვენი საბჭოთა დემოკრატიის, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობებს.

ჩვენი ხალხის ყველაზე ხანუკვარი მისწრაფებაა მშვიდობა. საბჭოთა ქალები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია სოციალისტური ქვეყნების ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავება, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერა. სულ უფრო ხანმაღლა გაისმის პლანეტის ქალთა ხმა ავანტიურებისა და გამალებული შეიარაღების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. მეგემონიზმის წინააღმდეგ. არ გვსურს „ცივი ომი!“ მეგვიდობა — ხალხებს, ბედნიერება — ბავშვებს!

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲥᲐᲚᲔᲑᲝ! ჩვენო დედებო, შვილებო, დებო, მეგობრებო! ეისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს შრომაში, სწავლაში, შემოქმედებაში. სიხარული და ბედნიერება თქვენ და თქვენს ოჯახებს!

პატივი და დიდება საბჭოთა ქალებს!

გაუმარჯოს მთელი შეოფლიოს მშრომელ ქალთა ერთიანობასა და სოლიდარობას!

დე მტკიცდებოდეს და ყვაოდეს ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლო!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ასე იჭედებოდა ჩვენი რესპუბლიკის

საქართველოს მშრომელთა დიდი დამსახურების აღიარება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საგებმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგის ამხანაგ ბ. ი. გოსტევის გამოსვლა

ამხანაგებო!

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ხალხთა მეგობრობა, უზრუნველყოფილია ყველა ერისა და ეროვნების თანასწორობა. ამ მეგობრობის მკაფიო გამოხატულებაა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელთა ნამდვილად ძმური შეჯიბრება. სასიხარულოა, რომ 1979 წლის შეჯიბრების შედეგების მიხედვით სამივე რესპუბლიკა დაჯილდოდა წითელი დროშებით.

ისევე როგორც ყველგან ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს სს რესპუბლიკაშიც შექმნილია და სწრაფად ვითარდება სოციალისტური ინდუსტრიის ყველაზე თანამედროვე დარგები. მრეწველობის პროდუქციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპით რესპუბლიკამ ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა.

ფართოდ არის ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებები. შესრულებულია არა მარტო ძირითადი პროდუქტების შესყიდვის წლიური გეგმა, არამედ ხუთწლიდის ოთხი წლის დავალებაც. მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტაში ეს დიდი წვლილი აღინიშნულია ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მისალმებაში.

რესპუბლიკაში ნაყოფიერად მოქმედებს ბევრი სამეცნიერო დაწესებულება. აყვავდა და გამდიდრდა კულტურა და ხელოვნება.

საერთოდ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა საქართველოს ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საერთო-სახალხო საქმეში!

პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება მიეცა არა მარტო მთლიანად რესპუბლიკის მიღწევებს, არამედ ქალაქებისა და სასოფლო რაიონების მშრომელებს, მოწინავე კოლექტივებს დამსახურებასაც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოდნენ აჭარის ასს რესპუბლიკა, ქალაქები თბილისი და ქუთაისი, აბაშის, ახმეტის, ბოგდანოვკისა და მახარაძის რაიონები. საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს 29 საწარმოსა და გაერთიანების, სამშენებლო ორგანიზაციის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კოლექტივები.

ნება მიბოძეთ, გულითადი მადლობა გადავუხადო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს, რესპუბლიკის მთელ სახელოვან მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას საგმირო საქმეებისათვის და ვუსურვო ახალი წარმატებები შრომასა და ცხოვრებაში, ახალი მიღწევები მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმმა, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ამ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ღრმად გააანალიზეს ეკონომიკის განვითარება, კრიტიკულად, პარტიული პრინციპულობით გამოავლინეს ნაკლოვანებანი და ვიწრო ადგილები, განსაზღვრეს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გზები. ყურადღების ცენტრშია დაყენებული ტრანსპორტის, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის, კაპიტალური მშენებლობისა და სხვა დარგების განვითარების საკვანძო საკითხები, მაღალხარისხოვანი და ფართო ასორტიმენტის სასურსათო და სამრეწველო საქონლით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესება.

საქმის წარმატებას ახლა ბევრად განსაზღვრავს შეჯიბრების შემდგომი აღმავლობა, სამეურნეო, ორგანიზაციული, მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება.

თანამედროვე პირობებში საჭიროა შეჯიბრება სულ უფრო მეტად წარმმართოთ ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების მთავარი ბერკეტის — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა, წარმოებაში მეცნიერების მიღწევების გულმოდგინე დანერგვა შეჯიბრების ქმედითობის შეფასების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი უნდა იყოს.

ფართოდ ვითარდება მოძრაობა მომჭირნეობის რეჟიმის თანამიმდევრული განხორციელებისათვის, რესურსების, ყოველივე იმის, რაც ეროვნული კეთილდღეობისათვის, რაც ქვეყანას აქვს. დავზოგოთ ელექტრო და თბოენერგია, ნედლეული, მასალები — ნიშნავს გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი. ეს თითოეული შრომითი კოლექტივის, თითოეული მუშაკის მოვალეობაა.

პასუხსაგები ამოცანები დგას ტრანსპორტის მუშაკთა წინაშე, რომლის როლი თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მის განვითარებას მნიშვნელოვანი სახსრები ხმარდება და ყველავე მოხმარდება. მაგრამ აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული წესრიგის დამყარებაზე, ტვირთბრუნვის გადიდებისათვის, მოკალათების ლიკვიდაციისათვის შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებაზე. უდიდეს ეფექტს იძლევა რკინიგზელთა, ავტომობილისტთა, მეზღვაურთა, სამრეწველო საწარმოების მუშაკთა თანამეგობრობის განმტკიცება.

სოფლის მეურნეობაში შეჯიბრების მონაწილეებმა განხილველად უნდა გაზარდონ მარცვლეულის მოსავლიანობა, გაფართოონ მეცხოველეობის პროდუქციის, განსაკუთრებით ხორცის წარმოება. ეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება საბჭოთა ადამიანების შოთხოვნილება მრავალფეროვან, მაღალხარისხოვან სურსათ-სანოვაგეზე. საჭიროა ყველაზე გავზარდოთ ძვირფასი სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მათ შორის ისეთი პროდუქტების წარმოება, როგორიც არის ციტრუსები, ყურძენი და ჩაი.

პარტია განუხრელად ახორციელებს თავის ავარაულ პოლიტიკას, რომელიც, რთული ცლმატური პირობების მიუხედავად, საგრძნობ ნაყოფს იძლევა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იღებენ ბევრ ტექნიკას, სასუქს, გამოიყოფა დიდი კაპიტალური დაბანდებანი და სხვა რესურსები. ამიტომ სოფლად შეჯიბრებაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მათი რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების საკითხი.

წარმოების ზრდა, განვითარების პერსპექტივა ბევრად არის დამოკიდებული მშენებლობაზე, შეჯიბრებაში მათი ორიენტირი ის არის, რომ დაჩქარონ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა, თავი მოუყარონ სახსრებს უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფო ასამუშავებელ მშენებლობებზე, გაუმჯობესონ მშენებლობის ხარისხი და შემაჩქარონ ღირებულება. ამ საქმეში თქვენ ჯერ კიდევ ბევრი რეზერვი გაქვთ.

შეჯიბრების შემდგომი აღმავლობა განუყოფელად არის დაკავშირებული მართვის სრულყოფასთან, საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცებასთან. ამ საკითხებზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებანი მოითხოვენ მეურნეობრიობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებას, შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას. ეს უნდა იყოს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების ყოველდღიური საზრუნავი. მართვის გაუმჯობესებასა და დისციპლინის განმტკიცებაში სულ უფრო დიდი როლი განეკუთვნებათ შრომითს კოლექტივებს.

ამხანაგებო!

საქართველოს მშრომელებმა მიმდინარე წლისათვის მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს. ისინი უფრო სრულად ითვალისწინებენ არსებული რეზერვებსა და შესაძლებლობებს, მიზნად ისახავენ უწინარეს ყოვლისა ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას. მათი შესრულება შესაძლებლობას მოგცემთ მოიპოვოთ ახალი წარმატებანი რესპუბლიკის-სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

დადგენილი გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების წარმატებული რეალიზაციის დიდი რეზერვია მოწინავე გამოცდილების — ჩვენი საზოგადოების ამ ფასდაუდებელი სიმდიდრის ფართო გამოყენება. პარტია, მთელი ჩვენი ხალხი სამართლიანად ამყოფენ წარმოების მოწინავე კოლექტივებისა და ნოვატორების, მიღწევებით, რომლებიც თავდადებული შრომის მაგალითებს გვიჩვენებენ. გამეორების ღირსი თვალსაჩინო მაგალითია საკავშირო შეჯიბრების შედეგების მიხედვით წითელი დროშებით დაჯილდოებული შრომითი კოლექტივების გამოცდილება.

მაგრამ ჯერ კიდევ ხშირად ძალიან დიდი დრო გადის, ვიდრე მათი მუშაობის მეთოდები სხვა კოლექტივების კუთვნილება გახდებოდეს. ახლახან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ხუთ ციალური დადგენილება საკავშირო შეჯიბრების გამარჯვებული კოლექტივების გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვის მთელი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

ამხანაგებო!

ახორციელებენ რა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმებს, ჩვენი პარტია მუდამ ადგას ჭეშმარიტ მტკიცე და საიმედო მშვიდობის უზრუნველყოფის კურსს. ეს პრინციპული ლენინური კურსი დროით, პრაქტიკით არის შემოწმებული. მშვიდობის პოლიტიკა, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანი ბრძოლა დაძაბულობის შენელებისა და რაკეტულ-ბირთვული ომის საფრთხის შემცირებისათვის საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი გახდა.

მალე აღვნიშნავთ ფაშიზმზე დიადი გამარჯვების 35-ე წლისთავს. მთელი ამ დროის განმავლობაში ჩვენი ხალხი მშვიდობიანი ცხოვრობს. ასეთი ისტორიული შედეგით შეგვიძლია სამართლიანად ვიამაყოთ.

ახლა, როცა ომის მოტრფიალე იმპერიალისტურმა ძალებმა კონტრიერაში მიტანეს დაძაბულობის შენელებაზე, ხალხთა მშვიდობასა და უფლებებზე, საბჭოთა ქვეყანა და მისი მოკავშირენი საომარი ისტერიისა და გაფთრებული გამალებული შეიარაღების „დოქტრინას“ უპირისპირებენ მტკიცე და თანამიმდევრულ ბრძოლას მშვიდობისა და უშიშროებისათვის, წინანდებურად მხარს უჭერენ დაძაბულობის შენელების განმტკიცებას და არა შეწყვეტას, შეიარაღების შემცირებას და არა გაზრდას.

საბჭოთა ხალხი მთლიანად და სავსებით იწონებს პარტიისა და სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ კურსს, მშვიდობიანი აღმშენებლობისა და პროგრესის კურსს. ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძალა ის არის, რომ იგი შეესაბამება მშრომელი ადამიანების, მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს.

ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყანა ეგებება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს. პარტიამ საბჭოთა ხალხს მოუწოდა 1980 წელი დამკვრელური მუშაობის, ლენინურად მუშაობის წლად გადააქციოს. ამ მოწოდების პასუხად სულ უფრო ფართოდ ჩაღება შეჯიბრება მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის.

ყველგან უდიდესი აღმავლობით შეხვდნენ მოსკოვის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების პატრიოტულ ინიციატივას, რომ 19 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა ვ. ი. ლენინის იუბილეს აღსანიშნავად, და ამ დღეს აჩვენონ შრომისადმი ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი.

სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები რთული და პასუხსაგებია. მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმა, წარმატებით დაამთავრონ მეათე ხუთწლედი.

გარდამავალი წითელი დროშით საქართველოს სს რესპუბლიკის დაჯილდოება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების მუშაკების, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი დამსახურების აღიარებაა.

წითელი დროშა რევოლუციის, გმირობისა და შრომითი მამაცობის სიმბოლოა. წითელი დროშთა საბჭოთა ადამიანები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით შრომობენ სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, მტკიცე რწმენით მიდიან წინ კომუნიზმის აშენების გზით.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, დიდი კმაყოფილებით შევასრულო დავალება — გადოგიგით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები ყველაზე იმუშავებენ უმრეტი შემოქმედებითი ენერგიით, მოიპოვებენ ახალ გამარჯვებებს, ახალ მიღწევებს პარტიის მიერ დასახული დიდებული ამოცანების გადაწყვეტაში.

მრავლდება „თეთრი ქარავნები“

დოლია ზამთრის

საძოვრებზე

ფეხგედნიერად დაიწყო გაზაფხული ახმეტის რაიონში — საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა ზედიზედ მეორედ დაიმსახურეს აქაურმა მშრომელებმა. გარდამავალი წითელი დროშის მომპოვებელთა შორის ამჯერად ახმეტელმა მეცხვარეებმა გამოიდეს თავი. დიდი ჯილდოს პასუხად საწარმოშოდ მოემზადნენ დოლისათვის და ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს.

ახლა ცხარე დღეები აქვთ ახმეტელ მწყემსებს — შირაქის ზამთრის საძოვრებზე დოლი გაჩაღდა. ისინი დღედაღამ შეუსვენებლივ, მუხლჩაუხრელად ტრიალებენ, რომ არც ერთი ბატკანი არ დაკარგონ, უკლებლივ შეინარჩუნონ ნამატი. მათ ძალრბიღლში აქვთ გამჯდარი ის აზრი, რომ ახლანდელი დოლი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მომავალ წარმატებებს.

დოლი პირველად ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ვახტანგ თორღვაიძე) დაიწყო. აქ წელს გეგმით 17.900 სული ბატკანი უნდა მიიღონ. უკვე 12.500-ზე მეტია მიღებული.

კარგი დოლი აქვთ ნიკოლოზ აფშინაძის, ისიდორე გაფრინდაულის, თენგიზ ბაკურიძის ბრიგადებს, ფერმებს შორის კი დაწინაურდა რეკეაზ ბაშინურიძის ფერმა. აქ უკვე 7.000 ბატკანია.

ქვემოალვანელი მეცხვარეები ბატკნის მიღების გეგმის შესრულებას 10 მარტისათვის ვარაუდობენ. მათი გადაწყვეტილებაა ყოველ 100 ნერბზე 83-ის ნაცვლად 85 ბატკანი შეინარჩუნონ.

უფრო სასახელო მაჩვენებლებისათვის იბრძვიან მატნის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — ჯულიეტა ზუბაშვილი) მეცხვარეები. მათ 15 თებერვალს 1.100 სული ნერბი ჩააყენეს დოლში. ივრისპირა ზამთრის საძოვრებზე ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტი ბატკანი იბადება, მწყემსები მუხლჩაუხრელად მუშაობენ, პორის საშენელადაც კი ვერ იცლიან, ნამატის მიღებაშენარჩუნებისათვის თავს არ ზოგავენ. მთავარი ზოოტექნიკოსი შოთა ტუხოლაშვილი, ფერმის ბრიგადირი ხარება შათირიშვილი, მწყემსები იობი შათირიშვილი, მიშა გრძელივანიშვილი, გია გოდერძიშვილი და სხვები ყოველ 100 ნერბზე 83-ის ნაცვლად 90 ბატკნის მიღებაშენარჩუნებისათვის შრომობენ.

მარტის მეცხრეებში შირაქის ზამთრის საძოვრებზე ყურადღებას არც 1.100 სულ მოზარდ ერბოს ... ნაცვლად 240 ცენტნერი ხორცი აწარმოონ, 45 ცენტნერი მატყლის ნაცვლად — 48 ცენტნერი.

დოლია პანკისის მეცენაფინების საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — იოსებ ძოძიშვილი) ცხვრის ფერმებშიც. პანკისელმა მეცხვარეებმა დოლში 3.900 ნერბი ჩააყენეს. გულმოდგინე, დიდი პასუხისმგებლობით იკრებიან დოლობას ფერმის ხუთი ბრიგადაში, პანკისელთა ფერმებს უკვე 2.000 ბატკანი შეემატა.

ცხვარ-ბატკანი გიმრავლოთ, მეათე ხუთწლედის დამაგვირგვინებელ წელს ეროვნული ეკონომიკა ... ლი მოეტანოს თქვენთვის, ახმეტელო მეცხვარეებო!

დ. ბერგიშვილი.

„კომუნისტის“ ...აკუთარი კორესპონდენტი.

სოფელი ღონიერდება

მთელი წალენჯიხის რაიონის მშრომელთა დღესასწაულად გადაიქცა ...ობოჯის კოლმეურნეობის 50-ე წლისთავის იუბილეი, რომელიც ამას წინათ იზეიმეს ამ სოფლის მშრომელებმა. იუბილეზე მოწვეული იყვნენ საკოლმეურნეო მოძრაობის პიონერები კირილე და იაკობ ...ები, ხარიტონ ფიფია, ადამურ მესხია, ციცი, დონი და თებრო სონგულიები, რომლებიც, თუმცა პენსიონერები არიან, ...ტორიული ნინოობენ კოლმეურნეობაში.

საიუბილეო-საზეიმო შეკრების მონაწილეებს კოლმეურნეობის სახელოვან წარსულსა და დღევანდელ თვალსაჩინო მიღწევებზე ესაუბრა გ. მგელაძის თანამშრომელი ე. მებონია.

მიღწევები კი ...ოტა როდი აქვს კოლმეურნეობას. მისმა ფულადმა შემოსავალმა თითქმის 2 მილიონს მიაღწია, საიდანაც 413.498 მანეთი წმინდა მოგებაა. 1963 წელთან შედარებით კაც-დღის ანაზღაურება 4 მანეთით და მეტით გაიზარდა და 8 მანეთს მიაღწია. შარშან კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 1.532 ტონა ჩაის ნედლეულული და ამით ხუთწლედის 4 წლის გეგმა-ვალდებულებები შეასრულა. ეკონომიკის ზრდამ კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია სოფლის კულტურულ ცხოვრებაზე. ობუჯის ცენტრს ამშვენებს კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს კლუბ-კინოთეატრი, სავაჭრო ობიექტები, საშუალო სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნაგებობები; დიდი ხანი არ არის, რაც სოფელში ტიპობრივი პროექტით აშენდა 8-წლიანი სკოლა 2 შენობა, სოფლიდან რაიონულ ცენტრამდე გაყვანილია მოასფალტებული გზა.

საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით ჩვენი რესპუბლიკა ზედიზედ მეშვიდედ დაჯილდოვდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვებისათვის. განაწყო სოფლის მშრომელებმა და ფაფთოდ გაშალეს ...ალისტური შეჯიბრება ე. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

ა. კვარაცხელია.

მაღალი ჯილდო აგვირგვინებს დამკვრელურ შრომას

(დასასრული)

სურათებზე: ზემოთ — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის შენობა, სადაც მიმდინარეობდა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება; ქვემოთ — საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი შესვენების დროს (მარცხნიდან მარჯვნივ): წალენჯიხის ჩაის მეურნეობის მექანიზატორი დ. სახოკია, თბილისის ფოლად-თუჯასამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ხელმძღვანელი გ. კურტანიძე, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს კოლმეურნეობის მეჩაიე ე. ცირამუა, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს კოლმეურნეობის მეჩაიე შ. დარასელია, თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ელექტრომონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელი გ. მეტონიძე.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. ბ. ქემაშვილმა, „თბილისგვირაბმშენის“ ლენინის ორდენოსანი სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ი. დათაშვილმა, ბურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის მეფენახემ, სოციალისტური შრომის გმირმა კ. ს. ბურდიაშვილმა სოჭნაზე გამოიტანეს დროშა და ჩაბარეს ამხ. ბ. ი. გოსტევს, რომელმაც გადასცა იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. პ. გ. გილაშვილს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ზ. ა. პატარაიძეს, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. თ. ი. მოსაშვილს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ქ. ...ბარტავას, რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს — ამხანაგებს გ. გ. აბაშიძეს, ბ. ი. ვაშაკიძეს, ი. გ. გვერდწითელს, თ. ა. ყუფუნაას, გ. ნ. კურტანიძეს, მ. ლ. მდივანს, მ. ფ. ორაგველიძეს, ნ. მ. პანკოვას, ნ. გ. საკანაას, მ. ა. ...ისკარიშვილს, თ. ი. ჩანიძეს, რ. ნ. ჩიხლაძეს, თ. გ. ჩერქეზიშვილს.

შეკრებილნი საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საპატიო ჯილდოს გადაცემას მჭეხარე ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

შემდეგ მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ჯ. ავიძბა, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ...ასკომის თავმჯდომარე გ. ს. აბზიანიძე, ...ბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე თ. ქ. ბაღდასაროვა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. კადენეცი, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯ. ი. გუგუჩია, ცხინვალის „ემალსადენის“ ქარხნის მემანქანე ს. ა. პლიევი, საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ი. დ. ალექსაშვილი ბოლნისის რაიონის სარაჩლოს საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველი შ. შ. ჩირაგოვი, მწერალი რ. კ. ინანიშვილი.

კრების მონაწილეებს და მათი სახით საქართველოს ყველა კომუნისტსა და მშრომელს გულითადად მიესალმნენ და გულთბილად მიუღოცეს დამსახურებული გამარჯვება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები ყველაზე იმუშავებენ უმრეტი შემოქმედებითი ენერგიით, მოიპოვებენ ახალ გამარჯვებებს, ახალ მიღწევებს პარტიის მიერ დასახული დიდებული ამოცანების გადაწყვეტაში.

კრების მონაწილეებს ...ჯიბრების შესახებ. მან გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ეს ხელშეკრულება კიდევ ერთხელ დაადასტურებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხების ურღვევ მეგობრობასა და ძმურ ერთიანობას.

ერთხმად მიიღეს საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების რეზოლუცია.

კრების მონაწილენი აღფრთოვანებით შეხვდნენ მისასალმებელ წერილს სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

კრების მონაწილეებს მხურვალედ მიესალმნენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები — მომავალი მუშები.

დამსწრეთ აღფრთოვანებული ოვაციით გამოხატეს რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის მხურვალე მადლობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, ასე დაუცხრომლად მამობრივად რომ ზრუნავენ საბჭოთა ხალხისათვის, საბჭოთა საქართველოს აყვავებისათვის.

კრებამ ცხადყო, რომ საქართველოს მშრომელები მეჭიდროდ არიან შეკავშირებული ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — თანამედროვეობის გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის, ქვეყნად გმირობისათვის მგზნებარე მებრძოლის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

კრების მონაწილეებს მხურვალედ მიესალმნენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები — მომავალი მუშები.

დამსწრეთ აღფრთოვანებული ოვაციით გამოხატეს რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის მხურვალე მადლობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, ასე დაუცხრომლად მამობრივად რომ ზრუნავენ საბჭოთა ხალხისათვის, საბჭოთა საქართველოს აყვავებისათვის.

კრებამ ცხადყო, რომ საქართველოს მშრომელები მეჭიდროდ არიან შეკავშირებული ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — თანამედროვეობის გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის, ქვეყნად გმირობისათვის მგზნებარე მებრძოლის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ირგვლივ ერთიანად, ...ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო.

● ●

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებისათვის გამართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ხელოვნების ოსტატები და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. (საქინფორმი).

დედ-მამის კვალში

მისი მშობლები ზუგდიდის ცალენოვნა-ქალაქის კომბინატში მუშობდნენ და შვილს ხშირად თან იანთ ნახელავზე — საწერი და სახატავი რვეულების დამზადების საიდუმლოებაზეც ესაუბრებოდნენ. ლარისა რვეულის ლამაზ ფურცლებს ნაზი თითებით ფრთხილად აშრიალებდა, აინტერესებდა რისგან ...ითდებოდა იგი...

შვიდიოდე წლის წინათ, სომწიფის ატესტატით ლარისა რიგვავამ კომბინატის დირექტორის კაბინეტის კარი შეაღო. დირექტორმა ო. ფაკაციამ ლარისას გადაწყვეტილება .რომ გაიგო, გაუხარდა და შეაქო იგი ოჯახური ტრადიციების ერთგულებისათვის. ახალგიდა გამოცდილ მექანიკოლოდეებს ჩაბარა.

გულთბილად მიიღო ფართო მოხმარების საამქროს კოლექტივმა დედ-მამის კვალში ჩამდგარი ქალიშვილი. მისი პირველი შრომითი ნათლობა რვეულების მკინძავ მანქანასთან მოიწყო. აქ მას ნამდვილი დობილობა და დამრიგებლობა გამოცდილმა მემანქანემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნათელა ...ვირტიამ გაუწია.

შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეუმჩნევლად გადიოდა წლები. ხელმარჯვე გოგონა მალე დაწინაურდა და საერთო რვეულებისმკეთებელი ავტომატური ხაზის მემანქანე გახდა. რთულია მკინძავი მანქანების მართვა, მაგრამ ლ. რიგვავამ მალე ალოო აუღო მას და დღემდე უწყნოდ და უთავარიოდ ამუშავებს.

ლარისა რიგვავა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელია, მისი კოლექტივი ერთ-ერთი საუკეთესოა საწარმოში. საკმარისია ითქვას, რომ ბრიგადამ ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა 109,9 პროცენტით შეასრულა. ეს პატარა კოლექტივი სახელმწიფო ხარისხისნიშნიანან 48-ფურცლიან საერთო რვეულებს უშვებს.

დიდი სიხარული ეწვია წელს კომკავშირელ ქალიშვილს — გაჯა და საქმისათვის ერთგულება დაუფასდა. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

სურათზე: ლარისა რიგვავა მუშაობის დროს.

რ. ფიფიას ფოტო.

ეს დიდი გამარჯვება

„ყოვლისშემძლე“ ამიაკი!

რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალი კომპლექსების სინთეზის საამქროს ამიაკის განყოფილება უკვე იძლევა პროდუქციას, იმ პროდუქციას, რომლის აზოტმეავასთან შეერთებით მიღებულ ნიეთიერებას ქიმიკოსები ამონიუმის გვარჯილას უწოდებენ, ჩვენ კი მინერალურ სასუქს.

დიახ, რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალმა კომპლექსმა მოგვცა ეს ამიაკი, რომელიც აქ ყველაფრის თავი და ბოლოა, ამიაკისგან ხომ მინერალური სასუქების გარდა, კაპროლაქტამს, კარბამიდს, ფაბრიკატებს და, ვინ მოთვლის, კიდევ რა და რა ქიმიურ პროდუქტს არ ამზადებენ.

სხვათა შორის, ეს პროდუქცია აქ სარკეკორდოდ მოკლე დროში გამოუშვეს. ამას კომპლექსის ძირითადი ასამუშავებელ-გასამართავი სამუშაოების დამთავრების შემდეგ მხოლოდ ერთ თვეზე ოდნავ მეტი დრო დასჭირდა: მნიშვნელოვნად ნაკლები, ვიდრე ქვეყნის სხვა მონათესავე საწარმოებში.

არავის ეგონოს, რომ ამიაკი ახალ კომპლექსში გამომუშავებული აზოტმეავასთან შეერთებით მიიღეს. არა, ეს მოხდება ცოტა მოგვიანებით, მაგრამ კონკრეტულად როდის, ამას ქვემოთ მოგახსენებთ. ამიაკის წარმოებისათვის აუცილებელი კომპონენტები კი ქიმიკატობით ქარხნის ძველი სიმძლავრეებიდან შემოდის, მიღწეულა თუ არა ეს? რასაკვირველია, უდავოდ დიდი მიღწევაა. საქმე ის არის, რომ უაღრესად რთული დანადგარების დამონტაჟება სავსებით სწორად წარმართულა. ძალების მთელი დაძაბვითა და არნახული სწრაფი ტემპით მომუშავე მემონტაჟეები დარეშუნდნენ, რომ მათ შეუძლიათ ყველაზე ურთულეს ტექნიკას შეეჭიდონ და ხალხის სამსახურში ჩაყენონ.

— მთავარი ის გახლავთ, გვეუბნება რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალი სიმძლავრეების მშენებლობაზე დასაქმებული მთავარი ორგანიზაციის — ამიერკავკასიის „მეტალურგშენის“ № 1 ტრესტის მმართველის მოადგილე ტ. მაჯაგანაძე — რომ მოპოვებულია როგორც დიდი შრომითი, ისე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გამარჯვება. ჩვენს დასახმარებლად ჩამოსული სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების წარმომადგენლებს არ ეპარებოდათ ეჭვი თავიანთ ოსტატობაში, მაგრამ შეიძლებოდა ისე მოხდარიყო, რომ ესეც არ ყოფილიყო საკმარისი: მშენებარე ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები ძალზე შემჭიდროებული იყო. აქ მომუშავე ორგანიზაციების ყველა კოლექტივი სამ კვლად მუშაობდა, მუშაობდა მთელი ნებისყოფის მაქსიმალური მობილიზებით, ხანდახან, ერთი შეხედვით, შეუძლებელსაც კი აკეთებდა. ასეთ სიტუაციას შეცდომები არკოფ იშვიათად მოსდევს ხოლმე, და რარიგ სასიამოვნოა ახლა, რომ მშენებლობა და დახადგართა მონტაჟი პროექტების ზუსტი დაცვით დაგვირგვინდა. სასიამოვნოა ისიც, რომ თვით პროექტებიც მაღალ დონეზე იყო შესრულებული. მართალია, მშენებლობისა და დამონტაჟებისას სამუშაო ნახაზებში არა ერთი და ორი შესწორება შეუტანიათ, მაგრამ ამას სუბიექტურზე მეტად ობიექტური მიზეზები ჰქონდა. იმასაც დავძენთ, რომ ეს შესწორებები მაინცდამაინც დიდ სიძნელეებთან დაკავშირებული არ ყოფილა, თუმცა, ისინი რომ არ ყოფილიყო, საქმე მნიშვნელოვნად წაიწევდა წინ და დაძაბულობაც შენელდებოდა. დიახ. დაძაბულობა, და არა მუშაობის ტემპი.

მაშ ასე, მოპოვებულია უდავო გამარჯვება, რამაც აღაფრთოვანა როგორც მშენებელ-მემონტაჟეები, ისე ქარხნის მთელი კოლექტივი. ამის შესახებ სიამოვნებით და სიამაყით გვესაუბრნენ ისინი, ვინც სამართავი ცენტრალიზებული პულტიდან ხელმძღვანელობენ ამიაკის მიღებას. ესენი არიან ახალგაზრდა კომონისტები, № 3 სინთეზის საამქროს უფროსის მოადგილე ვ. ალბაროვი, სინთეზის განყოფილების უფროსი ო. გობეჯიშვილი და ამავე განყოფილების ცვლის უფროსი მ. ელეშვილი. პირველი მათგანი რუსთაველი ყოფილა და დნეპროპეტროვსკის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიური ქალაქისათვის მოუშურებია. ხოლო, დანარჩენებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაუმთავრებიათ და დიპლომების მიღების შემდეგ სამოღვაწეო ასპარეზად უყოყმანოდ აურჩევიათ ქიმიური ქარხანა. საწარმოს ადმინისტრაცია დიდ იმედებს ამყარებს მათზე.

ახლა, როგორც ზემოთ დაგაპირდით, იმას მოგახსენებთ, თუ როდის გამოუშვებს პროდუქციას დამოუკიდებლად საწარმოს ახალი კომპლექსი. ეს უნდა მოხდეს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის, ხოლო ამ ღირსშესანიშნავ თარიღამდე ერთი თვით ადრე კათვალისწინებულია ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დამთავრება. დროის ამ მცირე მონაკვეთში უნდა შესრულდეს კოლოსალური მოცულობის სამუშაოები.

დარჩენილი სამუშაოები მოცულობითა და მნიშვნელობით ბევრად როდი ჩამოუვარდებიან უკვე შესრულებულს, ვადები კი, როგორც ვთქვით, ძალზე განსაზღვრულია. მეორე ქარტალში კომპლექსმა 13 ათასი ტონა, ხოლო მესამე და მეოთხე ქვარტალებში შესაბამისად 57 ათასი ტონა და 79 ათასი ტონა სასუქი უნდა გამოუშვას. საგაისოდ კი საწარმო საპროექტო სიმძლავრეს მიაღწევს და სოფლის მეურნეობას ყოველწლიურად 765 ათას ტონა ამიაკის გვარჯილას მიაწვდის.

როგორი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები? ამ შეკითხვაზე გვიპასუხა მოსკოვის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის „ორგქიმიის“ ტერიტორიული განყოფილების უფროსმა ა. შუკლინმა. ამ განყოფილების სპეციალისტები ერთგვარად კონტროლს უწევენ ყველა აქ მომუშავე ორგანიზაციის კოლექტივების საქმიანობას.

— შარშან დეკემბერში, — გვითხრა მან, — მუშაობის ტემპმა ზენიტს მიაღწია. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ყველა მშენებელი და მემონტაჟე გმირული შემართებით შრომობდა, და შედეგმაც არ დააყოვნა. კომპლექსის ასამუშავებელ-გასამართავი პროცესის დაწყების შემდეგ ერთგვარი განმუხტვა მოხდა, მთელი რიგი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების კოლექტივები წავიდ-წამოვიდნენ, დაძაბულობა შენელდა და მუშაობის ტემპმა ოდნავ იკლო, მაგრამ დროებით. დღეისათვის უკვე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა და სამუშაოთა ტემპი ისევ თავეა, როგორიც დეკემბერში იყო. ძველებურად ეთიოლსნდიერად შრომობს მოსკოვის ოლქის ქალაქ კალინინგრადის სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანების „სპეცმანქანმონტაჟის“ ჯგუფი, რომელსაც ამავე გაერთიანების მთავარი ინჟინრის მოადგილე ვ. ტიმოფეევი ხელმძღვანელობს. ეს კოლექტივი გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებითა და საიმედოდ აკეთებს თავის საქმეს.

სამწუხაროდ, თავის შესაძლებლობებთან შედარებით სუსტად მუშაობს თურმე ბაქოს სამონტაჟო სამმართველოს „ძრავმონტაჟის“ კოლექტივი. ბაქოელებს უსაყვედურებენ იმისათვის, რომ მათთან ძალზე დაბალია შრომის ორგანიზაციის დონე, დასაქმებული ჰყავთ სამჯერ ნაკლები მუშახელი, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ მათ შრომა გაცილებით უკეთეს პირობებში უხდებათ, ვიდრე სხვებს, საქმე ტაატით მიდის წინ. დრო კი არ ითმენს, ამიტომ, ბაქოელები ორ და სამცვლიან მუშაობაზე უნდა გადავიდნენ.

არც „საქმეკანმონტაჟის“ ტრესტის რუსთავის სამმართველოს კოლექტივს აქებენ. აქებენ კი არადა, ამბობენ, აქ საკანგაზო მდგომარეობაა. გეგმები მხოლოდ 50 პროცენტით სრულდება, ცუდად მუშაობდა ნიადაგი მომიჯნავეთა გამართული მუშაობისათვის. სამმართველოს ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო კოლექტივის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტება. ეს კაცის ნაკლად აქ მუშაობს მხოლოდ 38, ოაც ყოველად შეუწყნარებელია. ასევე არასახარბიელო მდგომარეობაშია კადრების შენარჩუნების მხრივ. როსტოვის „მონტაჟავტომატიკის“ ტრესტის თბილისის სამმართველო. აქ საქმე კიდევ 35 ზეინკალსა და სხვა პროფესიის მუშებს ელოდება, ისინი კი არ ჩანან. ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა იღონონ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

ქიმიური ქარხნის ხელმძღვანელობა, როგორც შემკვეთი, მეტი გულისყურით უნდა მოეკიდოს საჯარო ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ საკითხებს, დროულად გადაჭრას ისინი. არც ერთ საჯარო ორგანიზაციას არ უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ თავისი გაუმართავი მუშაობა შემკვეთს გადააბრალოს. სხვათა შორის, მოიჯარადრეები უმადურები როდი არიან. ისინი კარგსაც ხედავენ და კუდსაც. რუსთაველთა დასახმარებლად ჩამოსული ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ვ. ტიმოფეევმა აღნიშნა, ქვეყნის მრავალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში მიმიღია მონაწილეობა და სურსათ-სანოვაგით მუშების ასე უხვად მომარაგება არსად არ მინახავსო. ამ მხრივ, თქვა მან, დიდი მადლობის მეტი რა გვეთქმის...

რუსთავის ქიმიური ქარხნის გენერალური რეკონსტრუქცია ახლა ფაზაში შედის. ზემოთ ხსენებული კომპლექსის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ დაიწყება არანაკლებ მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა, რომლის დამთავრებისათვის გათვალისწინებული ვადები კიდევ უფრო შემჭიდროებულია. ამიტომ საჭიროა გავაორკეცოთ და გავასამკეცოთ ენერგია, დროზე მივცეთ ქვეყანას საჭირო პროდუქცია და ამით ღირსეულად შეეხვედეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დიდ გამარჯვებაში ენგურჰესის მშენებლებმა. მათ ვადაზე ერთი თვით ადრე აღმართეს თაღოვანი კაშხალი 200 მეტრის სიმაღლეზე. გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით დაიწყო აგრეთვე მეხუთე 260 ათასი კილოვატი სიმძლავრის აგრეგატის დამონტაჟება. აგრეგატის აწყობაზე ქართველ ჰიდრომშენებლებთან ერთად ლენინგრადის „სპეციჰიდროელექტრომონტაჟის“ ტრესტის სპეციალისტებიც მუშაობენ. ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ათობით ჰიდრომშენებელთა ქვეგანაყოფი დაწინაურდა. მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა თაღოვანი კაშხალის მომპირკეთებელთა ბრიგადის კოლექტივი, რომელსაც ლ. აგაია ხელმძღვანელობს.

სურათზე: ბრიგადის წევრები ლ. აგაია, ი. ფილიევი და მ. ვახანელოვი.

გ. ნახუცრიშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაფასება გვაგვალებს

ბოგდანოვკა

გასულ წელს ბოგდანოვკის რაიონის მშრომელებმა საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის 167 ათასი ტონა უხეში და წვნიანი საკვები დამზადეს. ეს ზუსტად იმდენია, რამდენიც წინა ორი წლის მანძილზე დამზადდა. 19,5 ათასი ტონა რძე, 5,1 ათასი ტონა ხორცი, 400 ტონა მატყლი — ასეთია მთავარი მიჯნები, რომლებიც წარმატებით დალაშქრეს რაიონის მეცხოველეებმა ხუთწლედის მეოთხე წელს. თითოეული საფფრაქციო ძროხის წველადობამ შეადგინა 2.178 კილოგრამი რძე, ხოლო სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის საშუალო წონამ — 313 კილოგრამი, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობს საკავშირო დავალებებს.

კარგად გაისარჯნენ რაიონის მიწათმოქმედნიც.

აი, ყოველივე ამან განაპირობა ბოგდანოვკის რაიონის მშრომელთა წარმატება, რომლებმაც 1979 წლის მუშაობის შედეგებისათვის მოიპოვეს ერთბაშად ორი საპატიო ჯილდო: სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა — საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა — წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად გაჩაღებულ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, მეცხოველეობაში მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ამ ჯილდოების გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გაიმართა ბოგდანოვკაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. ალბინმა მხურვალედ მიულოცა რაიონის კომუნისტებს, ყველა მშრომელს მაღალი ჯილდოები, უსურვა მათ ახალი დიდი წარმატებანი სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში. შეკრებილი ამხანაგების ტაშის გრიალში ამხ. კოლბინმა რაიონის წარმომადგენლებს გადასცა შეჯიბრების გამარჯვებულთა გარდამავალი წითელი დროშები, საპასუხო სიტყვაში საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ა. ალბოიანმა გულითადი მადლობა მოახსენა პარტიას და მთავრობას რაიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე დაფიქრებისა და ზრუნვისათვის.

ცხინვალი

გაიმართა ცხინვალის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნა ქალაქისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას. ცხინვალელებს ეს საპატიო ჯილდო მიენიჭათ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში გამარჯვების გამო.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი. მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, საოლქო აღმასკომის სახელით გულითადად მიულოცა შეკრებილი და მათი სახით ყველა ცხინვალელს საპატიო ჯილდო, შემდგომი წარმატებები უსურვა ქალაქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ამხ. სანაკოევმა ხაგრძლივი ტაშის გრიალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა ქალაქის წარმომადგენლებს.

კრებაზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თ. კოზაევმა.

ქობულეთი

გასულ წელს რესპუბლიკაში მოკრეფილი ყოველი მეათე ტონა ჩაი ქობულეთის რაიონზე მოდის. 40.739 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი — ასეთია რაიონის მშრომელთა წვლილი საქართველოს მეჩაიეთა საერთო წარმატებაში.

1979 წლის შრომის შედეგებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ქობულეთის რაიონი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

ამ მაღალი ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც რაიონულ კულტურის სახლში გაიმართა.

კრებაზე გამოსულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. რ. პაპუნიძემ გარდამავალი წითელი დროშა გადასცა რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებს.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ს. ჯიქია, რომელმაც აღნიშნა, რომ ყველაფერს იღონებენ, რათა შეინარჩუნონ ეს დროშა.

(საქინფორმი).

ზუგდიდი

ფლითიფლობით იზრდება ზუგდიდის რაიონის მშრომელთა წვლილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობაში. ახლაც ეს რაიონი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეათე ხუთწლედის 1979 წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკაში გამლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შორისაა.

რაიონის მშრომელებმა თავიანთი შრომისათვის მიიღეს ღირსეული ჯილდო — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომლის საჭიმოდ გადაცემა მოხდა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

ზუგდიდის რაიონის მშრომელებს ეს მაღალი ჯილდო გულითადად მიულოცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ა. შარტავამ და ახალი დიდი წარმატებები უსურვა.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თ. თოდუამ რაიონის ყველა მშრომელის აზრი და გრძნობები გამოთქვა და პარტიასა და მთავრობას დიდი მადლობა გადაუხადა მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

დალაშქრული სიმაღლე

თამბაქოს მოყვანა დიდად საძნელო და სათუთი საქმეა. არადა, სწორედ მეთამბაქოეობაა ჩვენი რაიონის ეკონომიკისათვის მთავარი, — ასე დაიწყო საუბარი საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა ვალერიან ბაქრაძემ.

...ლაგოდეხელებს ახლა საკმაო საზრუნავი აქვთ, ბევრ დარგში წარმატებით სრულდება საგეგმო დავალებები, მაგრამ ზოგში მოიკოჭლებენ. განსაკუთრებით დიდი გარჯა მართებთ იმათ, ვისაც თამბაქო და ეთერზეთოვანი კულტურები მოჰყავს. წლეულს აპირებენ ლაგოდეხელები თუ რამ გაჩნიათ იმ ნაკლოვანებების დაძლევას, რათა გამარჯვებით დაავერგვინონ ხუთწლედი. საამისო რეზერვები? უნდა გამოიძებნოს! ამ შემთხვევაში მთავარი რეზერვი შრომის სწორი და მიზნობრივი განაწილება. საზოგადოებრივ მეურნეობას ხომ არ ეღალატება, მაგრამ ადამიანები ვერც თავის ბოსტანს შეელევიან (რა თქმა უნდა, არც უნდა შეელიონ). ამასობაში კი ისე ხდება ხოლმე, რომ თამბაქოსაც ორივე ხელი სჭირდება და ბოსტანსაც. ადამიანმა უკე აღარ იცის, რომელი ერთი საქმე მოასწროს. ამიტომ ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა წლეულს გადაწყვიტეს, რადაც უნდა დაუჯდეთ პირველ მაისამდე მოათავონ თამბაქოს რგვა. მერე უკვე შეეძლებათ ბოსტნეულსაც ყარგად მიხედონ (მაისში ლაგოდეხელებს კიტრი მოჰყავთ). იმისათვის, რომ ადამიანი არ მოცდეს, უფრო გამოაცოცხლებენ მუშაობას ბოსტნეულის დამამზადებელი ორგანიზაციები. ავტოტრანსპორტზეც აზრუნეს. იქმნება ახალი ავტოსატრანსპორტო კანტორა. ყოველივეს შეუფერხებლად მიიწევდიან ქალაქს ლაგოდეხელების ბოსტნეულს. აქაურები დღეობით აღარ მოსცდებიან საკოლმეურნეო ბაზრებში წასვლა-მოსვლის ვაფშაფწიონ. თამბაქოს მოსაელად უფრო მეტი დრო დარჩებათ. თამბაქო ხომ ისეთი კულტურაა, თუ ხელი ოდნავ მოაკლი, მოსავალზე ხელი დაიბანე, ნოღარ ელოდები.

— ჩვენ ერთი წუთითაც არ გვავიწყდება მიმდინარე სამეურნეო წლის დიდი მნიშვნელობა, გვიფიქამს და კვლავაც გავიმეორებთ: ამაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დავამთავრებთ მეათე ხუთწლედს.

რაღა თქმა უნდა, 1980 წელი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ ლენინის დაბადების 110-ე წლისთავია. განსაკუთრებული ღონისსწორული ალბათ შრომელებს ექნებათ. რატომ? ამის პასუხად ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ (თავმჯდომარე ირაკლი ნანობაშვილი) უნდა გაიცოთ.

...კავკასიონის ქედის ძირში, იქ, სადაც იწყება ალგოდეხის (ცნობილი ნაკრძალი, გაშლილია სოფელი შრომა. იგი ამ საუკუნის პირმშოა. ქიზიყელებს: ქვაჩელაშვილებსა და ღვინიაშვილებს, ჭაბაშვილებსა და კოკლამაზაშვილებს აქაური ნოყიერი მიწა მოსწონებიათ. ყირანი ტყეები გაუკაფიათ და დასახლებულან, ოფლითა და ბარჯით აშენებულ სოფელს თავადვე დაანათლეს სახელად შრომა და მას შემდეგ ვინც კი აქ საძირკველი გათხარა და ლობო ჩადო, ყველა მშრომელი ეკაცი გამოდგა. აქაურებს ბარჯის სიყვარული და პატივისცემა სწორედ მამა-პაპით მოსდგამთ.

ახლა აღარ ახსოვთ როგორი დღე იყო მაშინ, როცა თავიანთ კოლმეურნეობას „ლენინის ანდერძი“ დაარქვეს. ის კი იციან, რომ ეს ამბავი ოცდაათიანი წლების დამდეგს, საკოლმეურნეო მშენებლობის გარიჟრაჟზე მოხდა. ლენინი ის ადამიანი იყო, ვისი საქმისაც სჯეროდათ მათ, სწამდათ, რომ ბელადის ოცნება საბჭოთა სოფლის დოვლათზე და შემძლებაზე უთოოდ განხორციელდებოდა, თუ იმ ნათელი კაცის შრომისადმი ანდერძს დროშასავით მაღლა აწეულს ატარებდნენ.

გამოხდა ხანი. ინენ არც ისე ცოტა, მაგრამ სამყაროს მარადიულობისათვის სრულიად უმნიშვნელო. საყოველთაო ჭეშმარიტებად იქცა ის აზრი, რომ ამ სოფელმა არც შრომა შეარქვა შემთხვევით თავის ნაფფოძარს და ტყიანად არც „ლენინის ანდერძით“ სიარული ირჩია.

სოფელმა სოციალისტური შრომის 37 მერი გაზარდა. მათზე ვაკვდა ნარკვევებისა და რეპორტაჟების სათაური — „გმირების სოფელი“.

ერთ სოფელს რომ ბარე ოთხი ათეული გმირი ეყოლება, ამა იმ მიწა-წყალს რა გაუჭირდება. თითოეული მათგანი დიდი ნარკვევის გმირობასაც თამამად შეძლებს. აი, თუნდაც 75 წლის ამაგალი კაცი სტეფანე ბესაშვილი! 22 წელიწადი ბრიგადირი იყო, თვითონ და მის თანამდგომებს ყოველთვის თამბაქოს სარეკორდო მოსავალი მოჰყავდათ. გმირი დღეს ალგოდეხის ქალმა. ანზორი სკოლაში დადიოდა. დედა თამბაქოს პლანტაციებში ათენებდა და ალიმებდა. შრომაში გართულმა თვითონაც ვერ გაიგო როგორ კახდა სოციალისტური შრომის გმირი. გაუხარდა, როგორ არ გაუხარდა, მაგრამ ეს გრძნობა რაღაც სევდანარევი გამოდგა. მისი ალი ვეღარას ხეტიალობდა, თუ როგორ ეზრდებოდა შვილი, როგორ ზევით-ზევით იწევდა მისი მეუღლის შრომით ოჯახის ჭერი, როგორ ღონიერდებოდა შობლიური სოფელი.

დღესაც შრომობს ეთერ ჯაბრიძე, ახლა ვენახს უვლის, შვილიშვილებს დაპხარის — „კეკა თავისას მოითხოვს“. გამრჯე ქალი გამოდგა მისი რძალი. ციასა აბრეშუმის ჭიას ხომ ყარგად უვლის, დედამოლისგან სხვა სოჯახო საქმეებთან ერთად, თამბაქოს მოვლა-მოყვანის საიდუმლოებაც ყარგად შეუმუშავა.

შრომაში უყვართ ჯარისკაცის ქვრივად დარჩენილი, ერთგული მეუღლე და შვილს გადაგებული დედა ეთერ ჯაბრიძე, სოფელმა ყველაზე უკეთ იცის ამ ქალის ღირსეული ქართველის დედობა.

...ზამთარი ტყდება. გაზაფხული იკიდებს ფეხს შრომის ნოყიერ მიწაზე. კოლმეურნეობას რა ხანია ზოგა სამუშაო მოაწყდა. მეთამბაქოეები ჯერ სათბურებში ტრიალებენ, ნერგი გამოჰყავთ. ლენინური წლის მოსავალს საფფძველი ანა ეყრება. აკი ამბობენ კიდეც სალომე კაკუტაშვილი, ნინო ბენაშვილი და ციურნა ბლიადე: ეს საკმარისზე მეტი ხარისხიანი ნერგი ვერ გამოვიყვანეთ, მაშინ ფუჭი შრომა გამოგვიეკო.

ზეგ კაკვასიონის მთის ძირში „ლენინის ანდერძის“ პირველი ბრიგადის სასთბურე მეურნეობაა. აქ ჯერ ძალიან ადვილი. ბუნებრივია, რომ აქაური ნერგი უფრო დაიგვიანებს. მაგრამ ამ მთგან დამოუკიდებელ „ნაკლს“ მეთამბაქოეები იმით გამოასწორებენ, რომ ჩითილს შემჭიდროებულ ვადებში გადარგავენ. არც მერე მოაკლებენ ხელს და მოსავალი აღემატება გულდაგული მიჰყვებიან. სხვანაირად არ ეგების. მოსავალის აღება ერთი დღითაც რომ დაგვიანდეს, თამბაქო ფერსაც დაკარგავს, ხარისხსაც და წონაშიც დაიკლებს. ასეთი სათუთი მოსავლელია თამბაქო და დიდად პატივსაცემია ხალხი, რომელიც მის პლანტაციებში ტრიალებს. ყველას შრომა მამულიშვილურია და დასაფასებელი, მაგრამ თუ ამ ღირსეულთა ლაშქარში ვინმე პირველობს, ის ათგზის უფრო სახელოვანია. აი, ერთ-ერთი ასეთი რჩეული ადამიანია ანასტასია ბეკოშვილი. იცით, რამდენია ამ ღირსეული ადამიანის ოჯახის წლიური შემოსავალი? თხუთმეტი ათასი მანეთი! ერთი წუთით გავხდეთ ანგარიშიანები: ვთქვათ, ანასტასია ბეკოშვილის ოჯახს არაფერი ჰქონოდა და მარტო ამ ხუთწლედში გადაეწყვიტა „ცივ ქვაზე დასახლება“. ხუთწლედის პირველსავე წელს შეეძლოთ აეშენებინათ მშვენიერი ორსართულიანი სახლი. მეორე წელს ეყიდათ და დაედგათ ნებისმიერი ავეჯი. მესამე წელს შეეძინათ მსუბუქი ავტომანქანა. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ყოველდღიური და აუცილებელი არა მოაკლდებოდათრა. მარტო ამ დაწლოცვილ მეათე ხუთწლედს შეეძლო წელში გაეშმართა ოჯახი.

„ლენინის ანდერძი“ მილიონერი კოლმეურნეობაა. მისი ფულადი შემოსავალი წელიწადში 2 მილიონ 600 ათას მანეთს აღწევს. და თითოეული წევრი მარტო ფულად თვეში 240 მანეთს იღებს. საერთოდ კი სოფელში ბევრია ოჯახი, რომლის საშუალო წლიური შემოსავალი 10 ათასი მანეთია და უფრო მეტიც. ახლა საკარმიდამოს შემოსავალი?!

...შრომელები ლენინის ანდერძის ერთგული მიმდევრები და აღმსრულებლები არიან და ამან სოფელს დიდი სიკეთე მოუტანა. ვვინდა იცოდეთ, რომ აქაურებმა მარტო თამბაქოთი როდი გამოიჩინეს თავი. შარშან მათ საგეგმოზე მეტი ეთერზეთოვანი კულტურები მოიყვანეს, მებოსტნეობაში უკვე მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ. წლეულსაც ისახელეს თავი მეცხოველეებმა. სახელმწიფოს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მეტი რძე და ყვერცხი მიჰყიდეს, ორ თვეში შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

„ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეები ლენინურად ცხოვრობენ და შრომობენ. როდესაც წარმატებებს ვხედავთ, იქვე არც ნაკლის შემჩნევა გვიჭირს. სოფელი შრომა ვერ არის ისეთი კეთილმოწყობილი, როგორც მილიონერ კოლმეურნეობას ეკადრება. აი რისთვის გვჭირდება ახლა ხელის გამოღება, აი, რას მოგვიწოდებს დღეს დროსავითი ზაწეული ლენინის ანდერძი, — გვითხრა ბოლოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა.

...კვლავაც უნდა გვჯერდეს შრომით შექმნილი და შრომად დარჩენული სოფლისა, ბელადის ანდერძის ერთგული ხალხისა.

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
(ალგოდეხის რაიონი. სოფელი შრომა).

ჭერის გვირგვინის დამდგმელი

ქვეყნად ათასნაირი სიკეთეა, რომელთა გახსენებაც კი ნამდვილად გაგიჭირდება. ისევე ცხოვრება თუ გაგახსენებს ჯაბადგზა. მაგრამ უმთავრეს სიკეთედ მაინც ის მიმაჩნია, უბინოა კაცს ბინას რომ მისცემ და ერთბაშად აქციე საკუთარი ჭირის პატრონად, ერთბაშად გაულამაზებ ცხოვრებას. ეისაკე გამოუცდია, ყარგად იცის: ბინა მარტო საკუთარი, მომყუდროებული საცხოვრისი კი არ არის, არამედ, კეთილ გუნება-ხასიათზე დადგომაა, გარჯის სტიმულია, საკუთარი ღირსების შეგნებაა; ეს იმას ნიშნავს, რომ შენზეც ზრუნავენ და შენც სიკეთის სიკეთით უნდა უპასუხო.

ტრესტს 1979 წელს გეგმით 4.844 ქვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი უნდა ჩაებარებინა. ფაქტიურად კი 6.965 ქვადრატული მეტრი ჩაებარა. ვინც მომდევნო წელს ელოდა ბინის მიღებას, ერთი წლით ადრე მიიღო. ერთი წლით ადრე ბინა ალიაქოთ, ორმოცდაათ ოჯახს ბედნიერ ცხოვრებაში ფეხი შეუდგამს. ეს ბედნიერ ადამიანებს ეკუთვნოდა ეს ბინა

საერთაშორისო ცხოვრება
დილაობის ფურცელზე

FIDE — GENS UNA SUMUS

პრეტენ-დენტთა მატჩე-ბზე

თბილისში

მესამე პარტიაში გაფრინდაშვილმა თამაში ქალაქ ლაზიერის პაიკით დაიწყო და გურიელმაც ისევ ჰოლანდიურ დაცვას მიმართა, ოღონდ ამჯერად პირველი შეხვედრისაგან განსხვავებით სულ სხვა ვარიანტი გათამაშდა. თეორებს, როგორც წესი და რიგია, მცირე პოზიციური უპირატესობა ჰქონდათ. გაფრინდაშვილმა გაცვალა შავუჯრედოვანი აზე, რაც ამნაირ პოზიციებში თეორების სასარგებლოდ ითვლება.

23-ე სვლაზე მსოფლიოს ექსჩემპიონმა, რომელსაც უკვე პაიკი ჰქონდა მოგებული, საინტერესო ტაქტიკური ოპერაცია განახორციელა. მან დროებით შეწირა ლაზიერი ეტლში, შემდეგ თვითონ მოიგო ასეთივე ფასად შავების ლაზიერი და თამაში მოსაგებ ენდშპილში გადაიყვანა... ხაქმე ამით არ დამთავრებულა. პარტიის გადადებამდე ერთი სვლით ადრე უკვე მსოფლიოს ექსჩემპიონი შეიცდა. შავი ფიგურები, რომლებიც აქამდე შეზღუდული იყვნენ, ერთბაშად ამოქმედდნენ, ახლა უკვე თეორებს უნდა გადაეწყვიტათ გარკვეული პრობლემები.

პარტია გადადიდო. გურიელმა 41-ე სვლა ჩაიწერა.

გაფრინდაშვილი — გურიელი

მესამე პარტია



ამ პოზიციაში გაფრინდაშვილმა თამაშა 29. ლ:g6. ეს, ეტყობა, საუკეთესო სვლაა, რაც ხაზს უსვამს თეორების უპირატესობას.

თამაში ასე გაგრძელდა: ...29... hg 30. ეf3 ლh4 31. ეh3+ ლh6 32. ეh6+ gh 33. მფf2 მფg7 34. e4 g5 35. ეg1 მფf6 36. მფe3 a4 37. e5+ მფg6 38. fg hg 39. მფe4 ეf8 40. კd7 ეf4+ 41. მფe3 და გურიელმა ჩაიწერა სვლა.

კისლოვოდსკში

მეტოქეებმა უკვე მეორედ გაითამაშეს ესპანური პარტია. ალექსანდრიამ, ისევე როგორც პირველ პარტიაში, ვერ მიიღო უპირატესობა. იგი ცდილობდა აქტიურად ეთამაშა მეფის ფრთაზე, მაგრამ აბმილოვსკიამ ლროულად უპასუხა ცენტრში გაროვევით და აამოძრავა ძლიერი გამსვლელი პაიკი, რითაც შებოჭა თეორების ძალები. ალექსანდრია იძულებული გახდა ამ პაიკის შესაკავებლად საგანგებო ღონისძიებებისათვის მიეძართა. პარტია გადადიდო. აბმილოვსკიამ აშკარად უკეთესი პოზიცია აქვს. ასე, რომ, ალექსანდრიას მძიმე დაცვა მოელის.

უკანასკნელ საათს!

თბილისში გუშინ გაფრინდაშვილ-გურიელის მატჩის მეოთხე პარტია არ გამართულა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პირველად გამოიყენა ტაიმ-აუტის უფლება.

კისლოვოდსკში აბმილოვსკაია-ალექსანდრიას მეოთხე პარტიაში აღინიშნა ყაიმი.

ფეხბურთის ამბები

ევროპული ტურნირები. გთავაზობთ შედეგებს: **თასების მფლობელთა თასი.** „არსენალი“ (ინგლისი)-„გეტაბორგი“ (შვეცია) — 5:1, „ბარსელონა“-„ვალენსია“ (ორივე — ესპანეთი) — 0:1, „რიეკა“ (იუგოსლავია)-„იუვენტუსი“ (იტალია) — 0:0; **ჩემპიონთა თასი.** „ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი)-„დინამო“ (ბერლინი) — 0:1, „ჰამბურგი“ (გფრ)-„ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) — 1:0, „სელტიკი“ (შოტლანდია)-„რეალი“ (მადრიდი) — 2:0, „ტრასსბურგი“ (საფრანგეთი)-„იიქსი“ (ჰოლანდია) — 0:0; **უეფას თასი.** „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი)-„ბორუსია“ (გფრ, მონჩენგლადბახი) — 1:4, „ბტუტგარტი“ (გფრ)-„ლოკომოტივი“ (ბულგარეთი) — 3:1, „აინტრახტი“ (გფრ)-„ზბრიოიოკა“ (ჩეხოსლოვაკია) — 4:1, „კაიზერსლაუტერნი“ (გფრ)-„ბაიერნი“ (გფრ) — 1:0.

სპარტაკიადი. აქ გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების მეორე ზონის ჯგუფური ტურნირის მეოთხე ტურის მატჩები. **დონეცკის „შახტორმა“ დამარცხა კიმეროვოს „კუზბასი“ (1:0), 8 ქულა დაგროვა და ერთი ტურით ადრე გაინაღდა ზონაში პირველი ადგილი და მერვედფინალში თამაშის უფლებაც.** დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სიმფეროპოლის „ტავრია“-ნალჩიკის „სპარტაკი“ — 2:0, ოდესის „ჩერნომორეცი“ — ვოროშილოვგრადის „ზარია“ — 1:1.

ბაუკანები. აქ დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების X საკრთაშორისო ტურნირი, **სხრ კავშირის პირველმა ნაკრებმა გადაწყვეტი მატჩი მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს (1:0) და მეხუთედ მოიპოვა ამ ტრადიციული ტურნირის გამარჯვებულის წოდება**

მოკლედ

გუშინ მოსკოვში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მეორე დღის მატჩები. თბილისის „დინამო“ შეხვდა კიევის არმიელთა გუნდს და დამარცხდა — 92:111.

სსრ კავშირთან ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის

ბონი, 5 მარტი. მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონი ცდილობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას თავს მოაბეროს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის შეკვეცის კურსი, ფასადეგან გერმანიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები მტკიცედ უჭერენ მხარს ამ ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

ტელევიზიით გამოსვლისას თვალსაჩინო დასავლეთგერმანელმა ფინანსისტმა, „დოიჩე ბანკის“ სამეფო თავმჯდომარემ გ. ი. აბსმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ზუსტად დაიცვან სსრ კავშირთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ დადებული საგარეო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. ორივე ქვეყნის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, თქვა მან, აგებულია გრძელვადიან საქმიან საფუძველზე. ამას მოწმობს, მაგალითად, შეთანხმებები იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირს მივაწოდოთ დიდი დიამეტრის მილები ბუნებრივი გაზის მიწოდების სამაგიეროდ, აგრეთვე კონტრაქტები სსრ კავშირის სამრეწველო საწარმოებისათვის მოწყობილობის მიწოდების შესახებ. „საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა, — აღნიშნა აბსმა, შეუძლებელია ერთბაშად შევაჩეროთ“.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის არსებობს ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმება 2003 წლამდე, წერს საქმიანი წრეების ორგანო ჟურნალი „ოტ-ვესტ კომერციალ“. განა მზანშეწონილი იქნება გასაღების სტაბილური ბაზრები შეეწიროთ კონფრონტაციის პოლიტიკას, რომლის შედეგები ძნელი წარმოსადგენია? — კითხულობს ჟურნალი.

საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური ურთიერთობის შეზღუდვის თაობაზე პრესის საკანტროსათვის მიეცემულ ინტერვიუში გერმანიის საბითუმო და საგარეო ვაჭრობის ფედერალური გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე ზიმანი აღნიშნავს, რომ ასეთ შეზღუდვებს შეუძლია ნულამდე დაიყვანოს ეკონომიკური თანამშრომლობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის.

საქმიანი სამყაროს საღად მოაზროვნე წარმომადგენელთა პოზიციას მხარს უჭერენ ქვეყნის პოლიტიკურ წრეებიც.

ფოტოინფორმაცია



ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკელმა ახალგაზრდობამ მასობრივი დემონსტრაციებით უპასუხა თეთრი სახლის გადაწყვეტილებას შემოიღოს ქალიშვილებისა და ჭაბუკების სავალდებულო სამხედრო რეგისტრაცია „საგანგებო ვითარებაში მობილიზაციისათვის“. ამ ქვეყნის ახალგაზრდობას აღნიშნული გადაწყვეტილება სრულიად სამართლიანად მიაჩნია მორიგ ნაბიჯად პენტაგონის საომარი სამზადისის გზაზე.

სურათზე: ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლუმბუსის ახალგაზრდობის ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია.

ასოშიეიტედ პრეს-საქმიანის ფოტო.

ვაშინგტონი ორპირობს

ვაშინგტონი, 5 მარტი. ოფიციალური ვაშინგტონი უხმაროდ ცდილობს მიჩქმალოს სკანდალი, რომელიც ატყდა იმის გამო, რომ ადმინისტრაციამ პოლიტიკურ ტრიუკს მიმართა, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ენერგიული უარი რეზოლუციას, რომელშიც დაგმობილია ოკუპირებულ არაბულ მიწებზე ისრაელის დასაბლოებათა შექმნის პოლიტიკა.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა კარტერმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის პოზიციას, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ რეზოლუციას, სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ ამ „შეცდომისათვის“ მთელ პასუხისმგებლობას კისრულობს სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი. მან თითქოს „არასწორად გაიგო“ თეთრი სახლის ინსტრუქცია და თავის მხრივ „მცდარი მითითება“ მისცა ამერიკის შეერთებული შტატების მისიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მომომხილველები მეტად სკეპტიკურად და აშკარა უნდობლობით ეკიდებიან ამ ვერსიას. სახელმწიფო დეპარტამენტს, აღნიშნავენ ისინი, ჩვეულებრივ „შეცდომები“ არ მოსდის, იგი ახორციელებს თეთრი სახლის მიერ ნაყარნახევ საგარეო-პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც მუდამ ახასიათებდა ისრაელი აგრესორთა უპირობო მხარდაჭერა, როგორც პრესისათვის მიცემულ განცხადებაში სირიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჰ. ჰადამმა აღნიშნა, „სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები უწევს ისრაელის იმ უდიდეს საშხედრო და ეკონომიკურ დახმარებას, რომელსაც არაბული სამყაროს წინააღმდეგ იყენებენ“.

ამერიკის ადმინისტრაციის ზანევრები დაიწყო მას შემდეგ, რაც ისრაელის პრემიერმა ბეგინმა „აღშფოთება“ გამოთქვა უშიშროების საბჭოში ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციასთან დაკავშირებით. შემთხვევითი რიდია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა უ. მონდეილმა სასწრაფო შეხვედრა მოაწყო ვაშინგტონში ისრაელის ელჩთან, ხოლო პრეზიდენტმა კარტერმა სპეციალურ განცხადებაში ტელ-ავივს აღუთქვა „ისრაელის უშიშროებისა და „ეთილდღეობის უზრუნველყოფის ადმ ერთგულება“. ასეთია არაბი ხალხების „მხარდაჭერისა“ და „ისრაელისადმი ერთგულების“ თაობაზე ვაშინგტონის მტკიცებათა ნამდვილი ფასი.

აქ აღნიშნავენ, რომ ვაშინგტონმა, რომელიც უშიშროების საბჭოში წაწყდა ტელ-ავივის ექსპანსიონისტური პოლიტიკისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობის მკვეთრ დაგმობას, ვერ გაბედა აშკარად დაეცვა იგი. მიმართეს ხრიკს: მოგვიანებით თავიანთი პოზიცია განემარტათ როგორც „შეცდომა“ და ამით ადმინისტრაციისათვის შეენარჩუნებინათ ამერიკის შეერთებული შტატების მძლავრი სიფისტური დაჯგუფებების მხარდაჭერა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრეზიდენტის არჩევნების წინ.

ერთვნული ინტერესებისათვის

მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის შესაბამისად ქვეყნიდან კაპიტალების და სამრეწველო მოწყობილობის გატანა, რასაც ადგილობრივი რეაქცია სჩადის ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით, კვალიფიცირებულია როგორც კონფისკაცია დანაშაული.

კანონი ითვალისწინებს ჯარიმას, აგრეთვე ერთიდან ექვს წლამდე პატიმრობას.

გვეპყობინებენ საკრედიტისა და ახალი ქმბების საკვანტოს კორესპონდენტები

უარყოფენ ცილისწამებას

ქაბული, 5 მარტი. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო თეირანის რადიოს ცნობა, თითქოს ამ -დღეებში ავღანეთის თვითმფრინავს დაერღვიოს ირანის საჰაერო სივრცე. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოები აცხადებენ, რომ ავღანეთის არც ერთი თვითმფრინავი არ შეჭრილა ირანის საჰაერო სივრცეში. ამ პროვოკაციული ცნობის შეკოწიწებაში, აღნიშნულია განცხადებაში, იმ ძალების ხელი ურევია, რომლებიც ზეადამ ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობისათვის.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე ჯგუფი განცხადებაში ნათქვამია, რომ პაკისტანის საბჭედრო თვითმფრინავებმა დაარღვიეს ავღანეთის საჰაერო სივრცე ჯერ ორჯერ. პაკისტანის მთავრობამ, აღნიშნულია განცხადებაში, თავი უნდა შეიკავოს რეგიონში დაძაბულობის გამწვავებისაგან. თუ მსგავსი მოქმედება განმეორდა, ამისათვის სრული პასუხისმგებლობა პაკისტანის ხელისუფალთ დაეკისრებათ.

მოკლედ

ყოველი მსრიდან

6 მარტი

სოფია. ყველა მაჩვენებლის მიხედვით მეშვიდე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის მოძრაობა დაედო საფუძვლად სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც ფართოდ გაიშალა ხლიენენს ოლქში ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად. მშრომელთა პირადი და კოლექტიური შემხვედრი გეგმები ითვალისწინებს წარმოების რეზერვების უფრო ეფექტიანად გამოყენებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

მადრიდი. ოვიედოში — ესპანეთის ასტურიის ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრში — გაიმართა ასტურიის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელი ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ 463 დელეგატი, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და პროფკავშირის, აგრეთვე ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობის ასზე მეტი წარმომადგენელი.

ყრილობის დელეგატებმა აირჩიეს ასტურიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები. ასტურიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (ყრილობის გადაწყვეტილებით სოლქო კომიტეტს უწოდა ცენტრალური კომიტეტი) წევრებად არჩეულია 52 კაცი. ასტურიის კომპარტიის გენერალურ მდივნად კვლავ აირჩიეს ხ. იგლესიასი.

ლელი. როგორც პუნჩიდან (ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატი) იუწყება ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც ინდოეთის სახმედრო სარდლობას ემოწმებს, პაკისტანის ჯარებმა გასულ კვირას საზღვრიდან უმიზეზოდ დაუშინეს ცეცხლი ინდოეთის სახმელეთო ჯარების განლაგებას ჭმანგარის რაიონში. სროლა ოთხ საათს გაგრძელდა.

ადის-აბება. როდეზიაში არჩევნების შედეგები ცხადყოფს ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის, ყველა პროგრესულად შეგნებული ზიმბაბველების დიდ გამარჯვებას, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ეფიციალ ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის გენერალურმა სამდივნომ გაავრცელა. ჯერ დარწმუნებული ვართ, აღნიშნულია დოკუმენტში, რომ პატრიოტული ფრონტის ხელმძღვანელობით ახალი ზიმბაბვე თავის კანონიერ ადგილს დაიკავებს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრებს შორის,

ბანგკოკი. გენერალი პრემ ტინსულანონი ოფიციალურად დაინიშნა ტაილანდის პრემიერ-მინისტრად. დეკრეტი პარლამენტის მიერ მისი არჩევის დამტკიცების შესახებ გამოსცა მეფემ პუმიპონ ადულიადეტმა. პრემ ტინსულანონმა ტაილანდის მთავრობის მეთაურის პოსტზე შეცვალა კრიანგსაკ ჩამანანა. იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო ოპოზიციური პარტიების ზეგავლენით, რომლებმაც მკაცრად გააკრიტიკეს მისი ეკონომიკური პოლიტიკა.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი

მოლაპარაკება ქურთთა პროგლემის გამო

თეირანი, 5 მარტი. აქ მორიგი რაუნდი დამთავრდა ცენტრალური მთავრობისა და ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის დელეგაციის წარმომადგენელთა მოლაპარაკებაზე, რომელიც ქურთთა პრობლემას ეძღვნება.

ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის დელეგაციამ, როგორც „ეთილაათი“ იუწყება, მთავრობის განსახილველად წარმოადგინა ექვსპუნქტიანი პროექტი ირანელი ქურთებისათვის ერთიანი ირანის ფარგლებში ავტონომიის მინიჭების შესახებ. მთავრობის თანხმობის შემთხვევაში ეს პროექტი უნდა გაფორმდეს როგორც ქვეყნის კონსტიტუციის დანართი.

პროექტის შესაბამისად, ავტონომიურ ირანის ქურთისტანში უნდა შევიდეს რაიონები, რომელთა მცხოვრებლების უმრავლესობას ქურთები შეადგენენ. პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე, რომ ქურთული ენა ოფიციალურად ცნონ ქურთისტანის განათლებისა და ადმინისტრაციული მმართველობის დარგში.

ჩვენი ცნობარი: განცხადება, რეკლამა, ინფორმაცია

ციფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი ჯვირის პროგრამა

10 მარტი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ფილმი ვარჯიში (მ.), 16.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე. თბილისის „დინამო“ — ოდესის ასკ. შესვენების დროს — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15 — აბიბურიენგთათვის ბიოლოგია (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის კონსტიტუცია (ფ.), 19.20 — მოსწავლეთათვის „ქართული მოგზაური“ — კონცერტი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ბოამბე“ (ფ.), 20.30 — „გიჟვევთ საოჯახო კლუბი“. (ფ.), 21.05 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გასეირნება“, 21.20 — „მღერის ჯემალ მღლიანი“. (ფ.), 22.00 — „ვრემია“, (მ.), 22.35 — სსრ კავშირის პირველობაზე კალათბურთში, მოსკოვის ცსკა — თბილისის „დინამო“. 10 მარტის მაჭრის მეორე გაიმის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით: 15.05 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვიური ფერები“, 16.00 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის. ფიზიკა. (ფ.), 16.30 — განცხადებები. (ფ.), 16.35 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ხვალინდელი დღისათვის“, 17.40 — კინოპარკვევი, 17.50 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 18.35 — მხატვრული ფილმი „შავყურა თეორი ბიმი“ მეორე სერია, (ფ.).

12 მარტი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ფილმი ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიბურიენგთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.35 — შევისწავლოთ გერმანული ენა (ფ.), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.25 — „ბმა“ (ფ.), 19.15 — „ბრიანური შეჯიბრება“. (ფ.), 19.15 — გელეზმეგადინობა „ჩვენი ურსია მშვიდობიანი აღმშენებლობა“ (ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის 1980 წლის 22 თებერვლის არჩევნებისწინა სიტყვა), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ბოამბე“ (ფ.), 20.30 — „გიჟვევთ საოჯახო კლუბი“. (ფ.), 21.05 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გასეირნება“, 21.20 — „მღერის ჯემალ მღლიანი“. (ფ.), 22.00 — „ვრემია“, (მ.), 22.35 — სსრ კავშირის პირველობაზე კალათბურთში, მოსკოვის ცსკა — თბილისის „დინამო“. 10 მარტის მაჭრის მეორე გაიმის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით: 15.05 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვიური“ (ფ.), 16.00 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის. ფიზიკა. (ფ.), 16.30 — განცხადებები. (ფ.), 16.35 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ხვალინდელი დღისათვის“, 17.40 — კინოპარკვევი, 17.50 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 18.35 — მხატვრული ფილმი „შავყურა თეორი ბიმი“ მეორე სერია, (ფ.).

14 მარტი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ფილმი ვარჯიში (მ.), 16.55 — აბიბურიენგთათვის — ქიმია (ფ.), 17.25 — განცხადებები (ფ.), 17.30 — შვეიდსწავლეთ ფრანგული ენა (ფ.), 18.00 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაკვე შენი ორიგინალ“ (ფ.), 18.30 — მოსწავლეთათვის — „მოთხრობები ლენინზე“ (ფ.), 19.10 — „კადრებთან ერთად“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ბოამბე“ (ფ.), 20.30 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთები, მთები“ (ფ.), 20.50 — ქართული მხატვრული ფილმი „სინეტა“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა“ (ფ.), 23.05 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეზაზე“, 16.00 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — კონცერტი, 17.25 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა (ფ.), 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.50 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი — „კოცონი თოვლზე“.

13 მარტი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ფილმი ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიბურიენგთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას (ფ.), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.30 — „ეკონომიკურ ფიზიკურ ეროვნულ საუნივერსიტეტი“ (ფ.), 19.00 — „მილენონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.), 19.30 — „ჩვენი ლაშქარი“ — გიორგი „კაპანაძე, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ბოამბე“ (ფ.), 20.30 — მღერის ანსამბლი „ოდოია“ (ფ), 21.00 — მუსიკალური შესვენება, 21.05 — „ჯაყოს ხიზნები“. ვიდეოფილმი. ნაწილი მეორე (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ჯაყოს ხიზნები“. ვიდეოფილმი. ნაწილი მეორე (ფ.), 23.40 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.20 — დოკუმენტური ფილმი — „ზღვის ფერები“, 16.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა (ფ.), 16.30 — განცხადებები (ფ.), 16.35 — „ცხენოსნური“ (ფ.), 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.45 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.), 18.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „გაზაფხულის გრძელი დღე“ (ფ.), 18.55 — ფილმი „სანალინის ავკარელები“ (ფ.), 19.10 — „მუსიკალური ფოსტა“ (ფ.).

14 მარტი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ფილმი ვარჯიში (მ.), 16.55 — აბიბურიენტთათვის — ქიმია (ფ.), 17.25 — განცხადებები (ფ.), 17.30 — შვეიდსწავლეთ ფრანგული ენა (ფ.), 18.00 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაკვე შენი ორიგინალ“ (ფ.), 18.30 — მოსწავლეთათვის — „მოთხრობები ლენინზე“ (ფ.), 19.10 — „კადრებთან ერთად“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ბოამბე“ (ფ.), 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — „ეკრანზეა — კინოკომედია“ — მხატვრული ფილმი „კაკვასიელი გაყვე ქალი“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ლიტერატურული ცხოვრება“ — ქუთაისი (ფ.), 23.50 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ერთხელ შემოდგომაზე“, 16.00 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 16.30 — საგელევიზიო სპექტაკლი „ჩემი თაობა“. პირველი და მეორე ნაწილი, 19.25 — მუსიკალური შესვენება, 19.30 — „პოეზია“ — პაოლო იაშვილი (ფ.).

15 მარტი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ფილმი ვარჯიში (მ.), 10.05 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 11.05 — „საუნდო მუსიკის ყოსიერი“ (ფ.), 11.35 — „ხკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად“. „როდესაც მასებმა ყველაფერი იციან“. (ხობის რაიონი) განმეორებით, 12.20 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი „კინოლენინიანა“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „რევოლუციისაკენ“, 13.00 — „ჩვენი სოფელი“ — საგელევიზიო პროგრამა, 13.50 — „ბავშვებისათვის“ — „ბერბერა“, 14.30 — „ეგანმრთელობა“ — საგელევიზიო პროგრამა, 15.05 — „გადაცემა ხანმოკლე ამბავი ადამიანთა ბედზე“, 16.05 — დოკუმენტური ფილმი, 16.15 — მოსწავლეთათვის — „ეჭრიბ აქედან ეწერ“, 17.00 — „ბავშვებისა“ — „ბავშვობის ალბომი“, 17.45 — „ეკონომიკა“ — „ეროვნული ეკონომიკა“, 18.15 — „ეროვნული ეკონომიკა“, 18.50 — „ეროვნული ეკონომიკა“, 19.20 — „ეროვნული ეკონომიკა“, 19.45 — „ეროვნული ეკონომიკა“, 20.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ბორბალი“ (ფ.), 21.00 — „ბოამბე“ (ფ.), 21.30 — „პოეზია“ — „ბერიელ ჯაბუშანური“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „მღერის ნათელა ტუღუში“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 14.05 — გასაროთობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის, 15.05 — დოკუმენტური ფილმი — „ბიჭუნები, ბიჭუნები“, 16.00 — „ბალეტის მოყვარულთათვის“ (ფ.), 16.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.05 — მხატვრული ფილმი „შეშფოთებული კარგოფილის დღესასწაული“ (ფ.), 18.35 — მუსიკალური ფილმი.

16 მარტი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ვინლს“ (ფ.), 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.30 — „მაღვიძარა“ (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“ (ფ.), 11.45 — „ცეროფენას ეკრანი“ (ფ.), 12.00 — „ეგანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „ღილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — ტელეეკურსულთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა. (სტუდიაში — დოკენენტი თ. კვაშნაძიერაძე) (ფ.), 13.45 — „ქართული თეატრის ფარსულიდან“ — აკაკი ფაღავა (ფ.), 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მ.), 15.00 — „კინოაფიშა“, 15.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „რევანშიანი იწყება 6 საათზე“. განმეორებით (ფ.), 16.15 — „ვესტნიკი“ (ფ.), 16.45 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 17.45 — „ღღეს — საბინაო კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა ღღეა“ (ფ.), 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15 — „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებს“ — ბოლნისის რაიონი, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „კინოს მოყვარულთათვის“, 20.50 — „ბოამბე“ (ფ.), 21.20 — მსოფლიო პირველობა ფიგურულ სრიალში. საჩვენებელი გამოსვლები, გადაცემა გფრ-იდან, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — მსოფლიო პირველობა ფიგურულ სრიალში. საჩვენებელი გამოსვლებს გაგრძელება.

მეორე პროგრამით: 15.55 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ოყვინი მზად, ოქვენო ადამატეულებავ!“ (ფ.), 17.00 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ბიჭუნები, ბიჭუნები“, 18.10 — კონცერტი, 18.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „აქ არის ჩემი ნავსაყუდელი“, 19.30 — მხატვრული ფილმი „გ-ცვლა“ (ფ.).

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი ჯვირის პროგრამა



10 მარტი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის ფილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „ბაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (ბ.), 08.27 — „მელოდიიდან“ მელოდიამდე“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.10 — მოსწავლეთათვის „ვიწყებთ ვარჯიშს!“, 11.20 — „ბაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.45 — „ეკლესიის ბიზანი — დაგიგმეს სრულყოფა“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — „ბეთლეემი“. ეკლესიანი. ფაბაზეთა არფისათვის, 12.25 — პოეზია უპირველეს ყოვლისა — ვ. ნადირაძის ლექსები, 12.30 — მიკროფონ